ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა და კონსერვაცია, სამხრეთ კავკასია



# ბიომრავალფეროვნების მდგომარეობის გაუმჯობესება კარიერების აღდგენის მეშვეობით – საჯარო და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობა

gtz

Federal Ministry for Economic Cooperation and Development

develoPPP.de

HEIDELBERGCEMENT

Ministry of Environment Protection and Natural Resources of Georgia

# ბიომრავალფეროვნების მდგომარეობის გაუმჯობესება კარიერების აღდგენის მეშვეობით – საჯარო და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობა

| | |
|---|---|
| **დამფინანსებელი და განმახორციელებელი ორგანიზაციები:** | ■ გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტრო (BMZ)<br>■ ჰაიდელბერგცემენტი<br>■ გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ) |
| **განხორციელების პერიოდი:** | დეკემბერი 2009 - ნოემბერი 2012 |
| **თლიანი ბიუჯეტი:** | 325.000 ევრო |

## ზოგადი ინფორმაცია

კავკასიის რეგიონი ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენს. საქართველო ცნობილია მისი განსაკუთრებულად მდიდარი ფლორითა და ფაუნით. ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირმა (IUCN) საქართველო მცენარეთა მრავალფეროვნების მსოფლიო ცენტრად დაასახელა, ხოლო საერთაშორისო ორგანიზაცია ბერდლაიფმა (BirdLife International) მას ენდემური ფრინველების მსოფლიო მნიშვნელობის რეგიონი უწოდა.

ასეთ რეგიონში არალითონური სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელ მრეწველობას, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისათვის, განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება.

ჰაიდელბერგცემენტი პირველი კომპანიაა მსოფლიოში, რომელმაც წარმოადგინა სახელმძღვანელო ბიომრავალფეროვნების შესახებ, სადაც განსაზღვრულია მისი კარიერების რენატურალიზაციისა და რეკონსტრუქციის სტანდარტები. სახელმძღვანელო, რომელიც მიღებულ იქნა 2009 წელს, მიზნად ისახავს ბუნებისა და ლანდშაფტის დაცვას და ყველა დაინტერესებულ მხარეს შორის დიალოგის ხელშეწყობას იმისათვის, რომ საბადოს გადამუშავების დროს და მის შემდგომ მოხდეს ბიომრავალფეროვნების ზრდა. ამდენად, ჰაიდელბერგცემენტს, ამ ფართო სპექტრის სახელმძღვანელოს სახით, სურს აქტიური წვლილი შეიტანოს მისი კარიერების ტერიტორიაზე არსებული ბიომრავალფეროვნების დაცვის საქმეში.

> **ჰაიდელბერგცემენტი**
>
> ჰაიდელბერგცემენტი, რომელიც დაარსდა 1873 წელს, დღეისათვის მსოფლიოში სამშენებლო მასალების მწარმოებელი ერთ-ერთი უდიდესი კომპანიაა. ამჟამად კომპანიას ჰყავს 57.000 თანამშრომელი მსოფლიოს დაახლოებით 50 ქვეყანაში. 2006 წელს ჰაიდელბერგცემენტმა კავკასიის რეგიონში პირველად მოახდინა ინვესტირება, შეიძინა რა "ქართული ცემენტის" 51% და "საქცემენტის" 75% წილი.

ბევრ ქვეყანაში კარიერების აღდგენა გულისხმობს მის ამოვსებასა და არაადგილობრივი სახეობებით განაშენიანებას. მსგავსი მეთოდით აღდგენა არ პასუხობს მდგრადი განვითარების მნიშვნელოვან პრინციპებს. ახლადშემუშავებული კონცეფციები დაფუძნებული იქნება ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინებითა და დაბალანსებით. კარიერებად გამოყენებული ლანდშაფტის აღდგენის თანამედროვე დაგეგმარების მეთოდები გვთავაზობს მრავალ შესაძლებლობას გავაერთიანოთ ბიომრავალფეროვნებისა და ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნები. კლასიკური აღდგენის მეთოდებთან შედარებით, თანამედროვე მეთოდები ფინანსურადაც გაცილებით უფრო მომგებიანია.



## მიზნები

აღნიშნული პროექტი მიზნად ისახავს საქართველოში ჰაიდელბერგცემენტ ჯგუფის მიერ დამუშავებული ყველა კარიერის აღდგენას, მათი ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებასა და აღდგენა-რეკულტივაციის თანამედროვე მეთოდების უკეთესად დანერგვას.

## მეთოდი

ტრადიციული აღდგენის მეთოდებისგან განს- ხვავებით, უნდა მოხდეს ბუნებრივ პირობებთან შეგუებული მრავალფეროვანი ჰაბიტატის აღდგენა. ამავე დროს: ბუნების კონსერვაცია, სოფლის მეურნეობა, მეტ- ყევეობა, სარეკრეაციო ზონები და ადგილო- ბრივი მოსახლების მოთხოვნები ერთმა- ნეთთან უნდა იქნას დაკავშირებული. გარდა ამისა, გათვალისწინებულია ბიომრავალფერ- ოვნების სამოქმედო გეგმის (BAPs) შემუ- შავება, ბიომრავალფეროვნების დაცვის და- გეგმვა მიმდინარე კარიერული სამუშაოე- ბისას, რომლის დროსაც მოხდება ადგილო- ბრივი ცხოველებისა და მცენარეთა სახე- ობების შენარჩუნების ხელშეწყობა. ყველა საბადოს შერჩევა მოხდება მასზე და მის შე- მოგარენში მიმდინარე ექსპლუატაციის სტრუქტურის, მცენარეთა და ცხოველთა სახეობებისა და ჰაბი- ტატების გათვალისწინებით. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, ჰაიდელბერგცემენტ ჯგუფისა და სხვა საწარმოთა თანამშრომლებს ჩაუტარდებათ შესაბამისი ტრენინგი თანამედროვე მეთოდების გამოყენების შესახებ. მიღებული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების შემდეგ, საბადოების დამუშავების შემდგომი განვითარების გეგმებზე სამუშაოდ, სხვადასხვა ქართული დაინტერესებული ჯგუფები იქნება ჩართული. დაინტერესებულ პირთა ჯგუფები შედგება საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, საწარმოო ასოციაციების, ეროვნული ორგანიზაციების, უნივერსიტეტების, მუნი- ციპალიტეტებისა და ფერმერებისგან.




პროექტი ხორციელდება გერმანიის ტექნიკური თანამშრომ- ლობის საზოგადოების (GTZ), ჰაიდელბერგცემენტ ჯგუფის გარემოს მდგრადობისა და ჰაიდელბერგცემენტის ევროპის ტექნოლოგიური ცენტრის თანამშრომლობით "კერძო და საჯარო სექტორს შორის თანამშრომლობის" ფარგლებში. აღნიშნული თანამშრომლობის შედეგად საპილოტო პროე- ქტი კავკასიის რეგიონში განხორციელდება, რომელიც შესაბამისად იქნება სახეცვლილი და ადაპტირებული სხვა- დასხვა ლანდშაფტებისათვის. საერთო შეთანხმების მიღ- წევა სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფების ერთობლივი მუშაობით იქნება შესაძლებელი. ამავე დროს, ჩატარდება ტრენინგი მაღალკვალიფიციური ადგილობრივი ექსპერტე- ბისათვის.



### კერძო და საჯარო სექტორს შორის თანამშრომლობა (PPP)

მდგრადი განვითარება, არა მარტო გერმანიაში, არამედ გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ) პარტნიორ ქვეყნებშიც, ბიზნეს სექტორის ჩარ- თულობას საჭიროებს. კომპანიები ქმნიან სამუშაო ადგილებს, სტაბილურ შემოსავალს, შემოაქვთ ტექნიკური ცოდნა და ნერგავენ თანამედროვე ტექნოლოგიებს.

გერმანული კომპანიები, ისევე როგორც სხვა ევროპული ქვეყნები, განვითარებად ქვეყნებში სპეციფიური პრობლემების წინაშე დგებიან: პერსპექტიული ბიზნესი შეიძლება შეფერხდეს შესაბამისი კანონმდე- ბლობის არქონის, ტრენინგების დეფიციტის, არაეფექტური ადმინისტაციული სტრუქტურისა და მწირი ინფრასტრუქტურის გამო. მონაწილე ორგანიზაციები და გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს პარტნიორები თანაბრად იღებენ სარგებელს "კერძო და საჯარო სექტორს შორის თანამშრომლობით"- მწარმოებლები ამცირებენ საბაზრო რისკ ფაქტორს განვითარებადი ქვეყნების ახალ ადგილებში. ისინი მტკიცედ გამოხატავენ კორპორატიულ პასუხის- მგებლობას და ხელს უწყობენ ნდობის გაზრდას, რის გარეშეც გრძელვადიანი ბიზნესი წარმოუდ- გენელია. თავისმხრივ, გერმანიის განვითარების პოლიტიკა იყენებს "კერძო და საჯარო სექტორს შორის თანამშრომლობის" გზას იმისათვის, რომ მობილიზება გაუკეთოს დამატებით კაპიტალს და ითამაშოს ეფექტური როლი საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად განვითარებად და გარდამავალ ქვეყნებში.



ფოტოები: © HeidelbergCement


HEIDELBERGCEMENT

**ჰაიდელბერგცემენტი
გლობალური გარემოსდაცვითი
მდგრადობა**

დე ლა ჰუპლეს გამზირი 185
1170 ბრუსელი, ბელგია
ტელ: +32-267-83372

**საქართველოს გარემოს დაცვისა და
ბუნებრივი რესურსების სამინისტრო**

ბიომრავალფეროვნების დაცვის
სამსახური
გულუას ქ. 6, მე-6 სართული
0114 თბილისი, საქართველო
ტელ: +995 532727231

gtz

**Deutsche Gesellschaft für Technische
Zusammenarbeit (GTZ) GmbH**
ბიომრავალფეროვნების მდგრადი
მართვა, სამხრეთ კავკასია
GTZ პროგრამის ოფისი, თბილისი
გულუას ქ. 6, მე-6 სართული
0114 თბილისი, საქართველო
ტელ: +995 32 - 201828